FROM THE JOURNALISTIC HERITAGE OF THE OCCUPIED TERRITORY OF TSKHINVALI REGION
(VASIL BASISHVILI)

ცხინვალის რეგიონის ოკუპირებული ტერიტორიის პუბლიცისტური მემკვიდრეობიდან
(ვასილ ბასიშვილი)

ALEKSANDRE MGEBRISHVILI
Doctor of Philological Sciences, Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia,
+995577251205, aleqsandre.m@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-4275-2417

Abstract. Vasil Basishvili briefly appeared in the literary scene of Tskhinvali region at the turn of the 19th and 20th centuries. He was born in village Kheti. His father was a teacher and a dyachok of the same village, and his mother was Natalia Titvinidze, a well-educated woman at that time. A school-aged Vasil was taken to live with his aunt in Gori. He studied at the theological seminary of Gori, which he graduated with honors and without exams, with the funding of the state. He was enrolled in Tbilisi Theological Seminary. At that time, his mother died. This fact caused tremendous pain to young Vasil.

According to the description of the contemporaries, he was: mild-mannered, with a loving heart, fond of learning, humble with the little ones and an observant talker with the adults.

He graduated from Tbilisi Theological Seminary with a first degree diploma and started preparing to continue his studies abroad. Lack of funds prevented the fulfillment of the intention. During this temporary interruption, he starts working in Gori, in the position of an educator.

V. Basishvili started his work in "Iveria", "Tsnobis Purtseli", Illustrated addition of “Tsnobis Purtseli” . His short stories and journalistic texts were published under the pseudonym "Basil". Later he continues his studies at Yuriev University.

Unfortunately, V. Basishvili was not around on the literary arena for a long time. He did not even finish the university, he was only a 3rd year student at the time of his tragic death.

Naturally, at such a young age, it would be impossible to achieve much, but in his form, an undoubtedly talented writer and publicist flashed like a meteor in the creative sky of the Tskhinvali region. The main idea of V. Basishvili's several publications is to bring the importance of education to the fore and popularize it.

V. Basishvili believes in the religious authorities in the country, looks at the future with the eyes of hope and believes that all problems in this direction will become a thing of the past.

In addition, V. Basishvili selflessly defends all those Georgian students who have gone to other higher educational institutions in Russia and abroad to receive education.

In addition to educational issues, V. Basishvili's keen eye does not overlook other existential problems from everyday life.

Interesting artistic texts of V. Basishvili were printed in the central periodical press of that time.

With his death, the cultural potential of the Tskhinvali region was deprived of a writer, publicist and public figure with a highly intelligent, independent talent.

Key words: Georgian-Ossian, Tskhinvali, literature, journalism.

ალექსანდრე მღებრიშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., №53, 1400, საქართველო,
+995577251205, aleqsandre.m@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-4275-2417

აბსტრაქტი. ცხინვალის რეგიონის სამწერლო ასპარეზზე XIX-XX საუკუნეების გასაყარზე ხანმოკლე დროით გაიელვა ვასილ ბასიშვილმა. დაიბადა სოფელ ხეითში. მამა იმავე სოფლის მედავითნე გახლდათ, ხოლო დედა იმ დროისთვის ერთობ განათლებული ქალბატონი ნატალია ტიტვინიძე. სასკოლო ასაკისა დროებით საცხოვრებლად გადაჰყავთ გორში დეიდასთან. სწავლობდა გორის სასულიერო სემინარიაში, რომელიც დაასრულა წარჩინებით და უგამოცდოდ, სახელმწიფოს ხარჯზე. ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში. ამ დროს გარდაეცვალა დედა. ამ ფაქტმა უდიდესი ტკივილი მიაყენა ახალგაზრდა ვასილს.

თანამედროვეთა დახასიათებით იგი გახლდათ: ლმობიერი ხასიათით, მოსიყვარულე გულით, გატაცებული სწავლით, თავმდაბალი პატარასთან და დაკვირვებული მოლაპარაკე დიდთან.

პირველი ხარისხის დიპლომით დაასრულა თბილისის სასულიერო სემინარია და დაიწყო სამზადისი უცხოეთში სწავლის გასაგრძელებლად. განზრახვის სისრულეში მოყვანას ხელს უშლიდა უსახსრობა. ამ დროებით შეფერხების დროს მუშაობას იწყებს გორში, აღმზრდელის პოზიციაზე.

ვ. ბასიშვილმა მოღვაწეობა დაიწყო „ივერიაში“, „ცნობის ფურცელში“, „ცნობის ფურცლის“ სურათებიან დამატებაში. მისი მოთხრობები და პუბლიცისტური ტექსტები იბეჭდებოდა ფსევდონიმით „ბასილ“. მოგვიანებით სწავლას განაგრძობს იურიევის უნივერსიტეტში.

სამწუხაროდ, ვ. ბასიშვილს დიდხანს არ დასცალდა სამოღვაწეო ასპარეზზე ყოფნა. უნივერსიტეტის დასრულებაც კი ვერ მოასწრო, მისი ტრაგიკული გარდაცვალების მომენტში მხოლოდ მე-3 კურსის სტუდენტი გახლდათ.

ასეთ ახალგაზრდა ასაკში, ბუნებრივია, ბევრის მოსწრება შეუძლებელი იქნებოდა, თუმცა მისი სახით უდავოდ ნიჭიერმა მწერალმა და პუბლიცისტმა მეტეორივით გაიელვა ცხინვალის რეგიონის შემოქმედებით ცაზე. ვ. ბასიშვილის რამდენიმე პუბლიკაციის ძირითადი იდეა განათლების მნიშვნელობის წინა პლანზე წამოწევა და მისი პოპულარიზაციაა.

ვ. ბასიშვილს სჯერა ქვეყანაში არსებული სასულიერო ხელისუფლების, იმედის თვალით უყურებს მომავალს და თვლის, რომ ამ მიმართულებით არსებული ყოველგვარი პრობლემა წარსულის კუთვნილებად იქცევა.

გარდა ამისა, ვ. ბასიშვილი თავგამოდებით იცავს ყველა იმ ქართველ სტუდენტს, რომლებიც რუსეთის და უცხოეთის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში არიან წასული განათლების მისაღებად.

საგანმანათლებლო საკითხების გვერდით, ვ. ბასიშვილის მახვილ თვალს მხედველობიდან არ რჩება სხვა ყოფითი პრობლემებიც ყოველდღიური ცხოვრებიდან.

ვ. ბასიშვილის საინტერესო მხატვრული ტექსტები იბეჭდებოდა იმდროინდელ ცენტრალურ პერიოდულ პრესაში.

მისი გარდაცვალებით ცხინვალის რეგიონის კულტურულ პოტენციალს გამოაკლდა უაღრესად გონიერი, თვითმყოფადი ნიჭიერების მქონე მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე.

საკვანძო სიტყვები: ქართულ-ოსური, ცხინვალი, ლიტერატურა, პუბლიცისტიკა.

შესავალი: ცხინვალის რეგიონის სამწერლო ასპარეზზე XIX-XX საუკუნეების გასაყარზე ხანმოკლე დროით გაიელვა ვასილ ბასიშვილმა. დაიბადა სოფელ ხეითში. მამა იმავე სოფლის მედავითნე გახლდათ, ხოლო დედა იმ დროისთვის ერთობ განათლებული ქალბატონი ნატალია ტიტვინიძე. სასკოლო ასაკისა დროებით საცხოვრებლად გადაჰყავთ გორში დეიდასთან. სწავლობდა გორის სასულიერო სემინარიაში, რომელიც დაასრულა წარჩინებით და უგამოცდოდ, სახელმწიფოს ხარჯზე. ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში. ამ დროს გარდაეცვალა დედა. ამ ფაქტმა უდიდესი ტკივილი მიაყენა ახალგაზრდა ვასილს.

თანამედროვეთა დახასიათებით იგი გახლდათ: ლმობიერი ხასიათით, მოსიყვარულე გულით, გატაცებული სწავლით, თავმდაბალი პატარასთან და დაკვირვებული მოლაპარაკე დიდთან (ივერია, 1903: 1).

დედის გარდაცვალებამ ვასილს „დაღონება დაატყო. ეს დაღონება რაღაც სიბრაზედ გადაექცა და თითქოს ამ სიბრაზეს თავის და-ძმებშივე ანთხევდა. კარში-კი იგივე გულკეთილი ვასო იყო. სემინარიაშიც ერთობ კარგად სწავლობდა. მხოლოდ, რაღაც ავადმყოფობა დასჩემდა და ხშირად სემინარიის საავადმყოფოში იწვა ხოლმე, რაც ბავშვს უფრო გულს უჩქროლებდა. ეს შეუნიშნავი არ დარჩა სემინარიის მთავრობას და მოფერებით უთხრეს: შენ ზე მფრინავი შავარდენი ხარ და ცოდოა შენი აქ ყოფნა, წაიღე წამლები, წადი სოფელში, სუფთა ჰაერზედ გამოკეთდი და ჩამოდიო. ვასოს მართალია საავადმყოფოში ყოფნა ჭირივით ეჯავრებოდა, მაგრამ არც სოფლისაკენ მისწევდა გული. ან-კი ვიღა ეგულებოდა იქ? ისევ ძალა-უნებურად გათხოვილ დასთან მიდიოდა და აქ იყო ხოლმე იმ დრომდის, სანამ ეგზამენები დაეწყებოდა. ჩავიდოდა ეგზამენებზედ და, წარმოიდგინეთ, სხვებზედ გაცილებით კარგად აბარებდა ეგზამენს ეს ნიჭიერი ბავშვი“ (ბერძნიშვილი, 1903: 2).

ამ დროისთვის, ვ. ბასიშვილის მამა ჯერ მთავარდიაკვნის, ხოლო მოგვიანებით, მღვდლის ხარისხში იქნა აყვანილი და გამწესებული გახლდათ ქეშელთაში.[1] მარტოხელა მღვდელს, მცირეწლოვანი შვილებით ძალზე უჭირდა სოფლიდან ამხელა გზაზე სიარული და თავისი სამღვდელო მოვალეობის შესრულება. ვასილმა გადაწყვიტა მამის დახმარება და მისი ქართლში გადმოყვანის თხოვნით მიმართა საქართველოს ეგზარქოსს.[2]

გაჭრა პატარა ვასოს თხოვნამ და ეგზარქოსისგან თანხმობის პირობა მიიღო. მალე ეს პირობა შესრულდა და ვასოს მამა გადმოიყვანეს ქართლში, სოფ. ბებნისში, საიდანაც უკეთ ახერხებდა მღვდელმსახურებასაც და ოჯახის მოვლა-პატრონობასაც.

დის გარდაცვალების შემდეგ ვ. ბასიშვილი კიდევ უფრო უხალისო და გულჩათხრობილი გახდა. ამ ტრაგიკული შემთხვევის მიუხედავად მისი სწავლის თამასა ძირს არ დაწეულა. პირველი ხარისხის დიპლომით დაასრულა სემინარია და დაიწყო სამზადისი უცხოეთში სწავლის გასაგრძელებლად. განზრახვის სისრულეში მოყვანას ხელს

---

[1] **ქეშელთა** - სოფელი ჯავის მუნიციპალიტეტში, მდებარეობს მდინარე ქეშელთის მარჯვენა მხარეს.

[2] ამ პერიოდში საქართველოს ეგზარქოსი გახლდათ ვლადიმერი. **ვლადიმერი (ერისკაცობაში - ვასილ ნიკიფორეს ძე ბოგოიავლენსკი)** საქართველოს IX ეგზარქოსი (1892–1898). დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია. 1888 აღიკვეცა ბერად. მალევე აკურთხეს ეპისკოპოსად. საქართველოს ეგზარქოსად ყოფნის დროს მისი ინიციატივით დაარსდა მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის აღმდგენელი კომიტეტი, რომელსაც თავად თავმჯდომარეობდა. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სამისიონერო საქმიანობას. 1894 წელს ქუთაისში დაარსდა სასულიერო სემინარია მისი ხელშეწყობით. 1898 წელს გადაიყვანეს მოსკოვის მიტროპოლიტად. 1912 წელს პეტერბურგის, შემდეგ ლადოგის, 1915 წლიდან კი განაგებდა უკრაინის ეპარქიას. 1918 წელს წამებით იქნა მოკლული კომუნისტების მიერ. რუსეთის ეკლესიის მიერ შერაცხულია წმინდანად.

უშლიდა უსახსრობა. ამ დროებით შეფერხების დროს მუშაობას იწყებს გორში, აღმზრ-დელის პოზიციაზე.

„ყველამ ურჩია მღვდლათ წასულიყო და სადაც ითხოვდა, იქ მისცემდნენ საუკეთესო ადგილს, მაგრამ ვასოს გული და გონება ზეით მიჰქროდა, მაღალი სწავლისათვის. გათავების უმალვე უნდოდა წასვლა (იქნება უფრო კარგად წასულიყო მისი საქმე) და ამიტომ შეეხმიანა ნაცნობ-მოკეთე-ნათესავებს, ფულით დაჰხმარებოდნენ, მაგრამ, მოგეხსენებათ, ზოგიერთი გულ-ცივი ნათესავი მაშინ გაგიწევს ნათესაობას, როცა ორ იმოდენას შენგან გაელის რასმე. ვასოს ოცნებას ფრთები შეეკვეცა და გორში აღმზრდელის ადგილი იშოვა. დარჩა წელიწადზე რაღაც ცოტა მეტ ნაკლები და დაიწყო უნივერსიტეტში წასასვლელად გამზადება. ერთი კიდევ ვცადე, რომ ავადმყოფი ბავშვი გაყინულ ქვეყანაში არ წასულიყო და იმას დასჯერებოდა, რაც ისწავლა. ათასი მაგალითი დაუსახელე, მაგრამ ამაოდ. თავისი არ დაიშალა. გამოგვეთხოვა ყველას და გაუდგა გზას 1900 წელს. აქაც ათასი უსიამოვნება გადაეღობა წინ მის დაკოდილს გულს და სტუდენტთა არეულობის დროს დათხოვნილ იქმნა ერთი წლის ვადით. წელ-მოწყვეტილი დაბრუნდა, მაგრამ დასვენების მაგიერ ან წიგნებს ჩაჰკირკიტებდა და ან რაიმე მოთხრობებსა სწერდა[3], რომლებიც ათჯერ უკეთესები იყო უკვე დასტამბულებზე“ (ივერია, 1903: 2).

კვლევის მეთოდები: მოცემულ სტატიაში გამოყენებულია შედარებით-ისტორიული, აღწერითი და კრიტიკული ანალიზის მეთოდები, რის საფუძველზეც გამოკვეთილია პრობლემის ძირითადი აქცენტები.

შედეგები და მსჯელობა: ვ. ბასიშვილმა მოღვაწეობა დაიწყო „ივერიაში“, „ცნობის ფურცელში“, „ცნობის ფურცლის“ სურათებიან დამატებაში. მისი მოთხრობები და პუბლიცისტური ტექსტები იბეჭდებოდა ფსევდონიმით „ბასილ“. მოგვიანებით კვლავ განაგრძო სწავლა იურიევის უნივერსიტეტში.[4]

სამწუხაროდ, ვ. ბასიშვილს დიდხანს არ დასცალდა სამოღვაწეო ასპარეზზე ყოფნა. უნივერსიტეტის დასრულებაც კი ვერ მოასწრო, მისი ტრაგიკული გარდაცვალების მომენტში მხოლოდ მე-3 კურსის სტუდენტი გახლდათ.

ასეთ ახალგაზრდა ასაკში, ბუნებრივია, ბევრის მოსწრება შეუძლებელი იქნებოდა, თუმცა მისი სახით უდავოდ ნიჭიერმა მწერალმა და პუბლიცისტმა მეტეორივით გაიელვა ცხინვალის რეგიონის შემოქმედებით ცაზე. ვ. ბასიშვილის რამდენიმე პუბლიკაციის ძირითადი იდეა განათლების მნიშვნელობის წინა პლანზე წამოწევა და მისი პოპულარიზაციაა. მოსახლეობაში განათლების დაბალი დონის, სკოლების ნაკლებობის და მოსახლეობასა და სასულიერო ფენას შორის არსებულ გაუცხოვებას ეძღვნება წერილი: „ორიოდე სიტყვა ჩვენი სამღვდელოების ერთ საჭირბოროტო საგნის გამო“. ავტორი გულწრფელი ემოციით და გულდაწყვეტით მიუთითებს: „ვინც თვალ-ყურს ადევნებს ჩვენის გაზეთების კორესპონდენციებს ქართლ-კახეთის სოფლებიდან, შენიშნავდა, რომ ყოველი მხრიდგან იწერებიან: ჩვენი სოფელი განათლებით ძალიან დაბლა სდგას, ცრუ-

[3] ვასილ ბასიშვილის მოთხრობები სხვადასხვა დროს დაიბეჭდა „ივერიაში“, „ცნობის ფურცელში“. მათ გასაცნობად იხ. **მივიწყებული შემოქმედება (ქრესტომათია), გორი 2022,** ქრესტომათია მომზადდა „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პერსონალის ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესის“ ფარგლებში (შემდგენელი, რედაქტორი და პროექტის ხელმძღვანელი პროფ. ალ. მღებრიშვილი).

[4] **საიმპერატორო იურიევის უნივერსიტეტი** - ქალაქ დორპატის (მოგვიანებით იურიევის) უნივერსიტეტი დაარსდა 1802 წელს ალექსანდრე I განკარგულებით. ეს საგანმანათლებლო დაწესე-ბულება იყო მეორე აქტიური უნივერსიტეტი რუსეთში მოსკოვის შემდეგ. საიმპერატორო იურიევის უნივერსიტეტის საფუძველზე 1918 წელს დაარსდა ვორონეჟის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მორწმუნეობით არის მოცული, ჯერ ვერ გამოსულა პირველ-ყოფილი მდგომარეობიდგან და თავისი ცხოვრება ცოტად თუ ბევრად ვერ გაუუმჯობესებია, ისეც კი, როგორც შეძლება ნებას აძლევს და სხვ. ამის უმთავრესს მიზეზად ასახელებენ სკოლების სიცოტავეს. დიახ, ძალიან ცოტა არის დღეს ქართლ-კახეთში სამრევლო თუ სამონასტრო სკოლა და უნდა ვთქვათ, რომ ამ მხრივ იმერეთ, გურია-სამეგრელომ შესამჩნევად გაგვასწრო წინ. „სადა მაქვს, შენი ჭირიმე, იმდენი შეძლება, რომ სკოლა გავხსნა“, გიპასუხებენ გლეხები, „სწავლა რას მომიტანს, თუ კუჭი მშიერი მექნება. ჩემი შვილი რომ სკოლაში ვატარო, მე ვიღამ მიშველოს? მე ან მეხრე არ მინდა, ან მწყემსი, ან ავი, ან კარგი, ხომ დაიწია უკან ოჯახმა. პური რომ მომშივდეს, წიგნები ხომ ვერ გამაძღობენ.“ აი ამ და ბევრს ამისთანა საბუთს წარმოგიდგენენ გლეხ-კაცები და დარწმუნდებით, რომ მათ ვერა აქვთ სწავლა-განათლების მნიშვნელობა შეგნებული, შესისხლ-ხორცებული, ძვალ-რბილში გამჯდარი, მერე მისი ვალია, რომ შეაგნებინოს მათ ესა? იმათი, ვისაც ეს კარგად ესმის და სოფელში ხშირად სცხოვრობს. მაგრამ კიდეც ეს არის ჩვენი სავალალო, ამისთანა იშვიათად მოიპოვება ჩვენს სოფლებში. ვისაც ცოტა რამ უსწავლია, ის სოფელში ცხოვრებას აღარა ნდომულობს და ქალაქებისაკენ მიისწრაფის.“[5] (ბასიშვილი, 1900გ: 3)

ხსენებულ პუბლიკაციაში ავტორი ვრცლად საუბრობს სასულიერო წოდების როლზე, ვისაც ძალუძს მოსახლეობის ფართო მასებში განათლების შეტანის ხელშეწყობა. ეს ერთადერთი ნათელი წერტილია, რომლისკენაც ახალგაზრდის იმედის თვალია მიპყრობილი, თუმცა ამ მიმართულებით გამოკვეთილია ზოგიერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც სახელმწიფო ინსტიტუტების ჩარევას და მხარეთა აქტიურ ჩართულობას მოითხოვს.

სულიერი მწყემს-მთავრები, რომლებმაც თვალი უნდა ადევნონ მრევლის სულიერ ზრდას, ქცევას, ცდილობდეს ადამიანებს ჩაუნერგოს მაღალი, კეთილშობილური მისწრაფებანი, აუხილოს გონების თვალი, დაანახოს უკეთესი ცხოვრება, შეაყვაროს სწავლა-განათლება და აუხსნას მისი სიკეთეები, ფაქტობრივად მოკლებულნი არიან ამ მოვალეობათა შესრულების შესაძლებლობას.

როგორც ვასილი ამბობს - ჩვენს სოფლებში ბევრია ღირსეული მღვდელი, მაგრამ... თუ თესლი კარგ, ნოყიერ ალაგზედ არ დაეცა და სადმე კლდეებში ჩავარდა, ნაყოფს ვერ მოიტანს. ჩვენს ძველებსაც უთქვამთ: „კარგს მთქმელს კარგი გამგონეც უნდაო“. ნასწავლსა და განათლებულს კაცს საკმაოა დავუმტკიცოთ საბუთებითა და ლოგიკით ამა თუ იმ აზრის სიმართლე და იგი მაშინვე დაინახავს სიმართლეს. უსწავლელ გლეხს კი, რომელსაც გონება ბნელით აქვს მოცული, არ შეუძლია კრიტიკულად შეხედოს ამა თუ იმ აზრს, უნდა არა დამტკიცება, არამედ „დაჯერება“, რომლისთვისაც საჭიროა ნდობა (ივერია, 1900: 3). ნდობის მოპოვებას ხელს უშლის მძიმე სოციალური ფონი, რომელსაც კიდევ უფრო ამძიმებს საეკლესიო გადასახადები.[6] ეს გადასახადები მძიმე ტვირთად აწვება უბრალო გლეხს, უჩენს პროტესტს სასულიერო ფენის წარმომადგენლების მიმართ, რომელთაც ხშირად ძალის გამოყენებით უხდებათ მისი ამოღება. თავის მხრივ ისინი იძულებულნი არიან ასე მოიქცნენ. ე. წ. სამრევლო ჯამაგირების მკვეთრი სიმცირის[7] გამო ეს მათი ერთად-ერთი საარსებო წყაროა.

„ამ არა-სასურველს მოვლენას მიაქცია დიდი ყურადღება წარსულის გიორგობისთვეში მომხდარმა ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოების კრებამ. მრავალთ წარმოთქვეს ის აზრი, რომ ამ მოვლენის მოსასპობლად გლეხ-კაცს დრამა ფულად

[5] მასალა დაბეჭდილია ფსევდონიმით „ბასილ“.

[6] იგულისხმება გადასახადი „დრამა“, გადასახადი პურზე, იხ. (თაბუაშვილი, 2019).

[7] ვ. ბასიშვილის ინფორმაციით, მომეტებულ სამრევლოში ჯამაგირი 100-125 მანეთს არ აღემატება. 900-იან წლებში ზოგან გაზრდილა ანაზღაურება, რომელიც მთელი კრებულისთვის შედგება 400 მანეთისგან. აქედან ხაზინაში დაქვითვის შემდეგ რჩება - 340-360 მანეთი.

გამოართვან, სახელდობრ კომლზედ სამი მანეთი, და ეს ფული პოლიციამ შეჰკრიბოს ხაზინაში შესატანად, საიდგანაც სამღვდელოება თავისუფლად მიიღებს. ამითი დიდი შეღავათი ეძლევა გლეხკაცობას. ორთაშუა რიცხვით, თითო კომლი იხდის ეხლა (კოდიდგან ორ კოდამდე პურს (4-8 ფუთი), ერთ თუნგ ღვინოს, ქათამს, 20 კაპ. და სხვ.)[8] 6-7 მანეთს. მაშასადამე სამღვდელოება თითქმის ნახევარზედ ნაკლებსაც სჯერდება, ოღონდ-კი მოისპოს ის უსიამოვნებანი, რომელიც ასე ხშირია ჩვენს სოფლებში. ამ საკითხის უფრო საფუძვლიანად გამოკვეთისთვის ყოვლად უსამღვდელოესის ფლაბიანეს[9] ნება-დართვით შედგა კომისია სოფელში მყოფ და ნამყოფ მღვდლებისგან თვით მაღალყოვლადუსამღვდელოესის ფლაბიანეს თავმჯდომარეობით. იმედია, რომ ამ კითხვას საფუძვლიანად გამოარკვევს ეს კომისია და კიდეც დამტკიცდება ზემოთხსენებული აზრი, ვისგანაც ჯერ არს. როგორც ჩანს, უმაღლესი მთავრობაც მოწადინებულია და ამით უფრო გვეძლევა იმედი, რომ ეს საკითხი სასურველად გარდასწყდება და დაბოლოვდება. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ ცოტად თუ ბევრად დამყარდება სიყვარული და ნდობა მრევლსა და მოძღვარს შორის და ამით კი მღვდლებს შეძლება მიეცემათ გაავრცელონ ხალხში სასარგებლო აზრები, რომლებსაც ეხლა ასე უნდობლად ეგებება ჩვენი სოფელი.“ (ივერია, 1900: 3)

სწორედ ეს ეკონომიური მიზეზები განაპირობებს იმ უნდობლობას, რა მიზეზითაც უბრალო გლეხთა უმრავლესობა არ ენდობა და არ უყვარს სასულიერო წოდება, მათ ვინც წირვებს უტარებს, აწვდის წმინდა ზიარებას, ასრულებს სხვადასხვა ქრისტიანულ წესს. ვ. ბასიშვილს სჯერა ქვეყანაში არსებული სასულიერო ხელისუფლების, იმედის თვალით უყურებს მომავალს და თვლის, რომ ამ მიმართულებით არსებული ყოველგვარი პრობლემა წარსულის კუთვნილებად იქცევა.

გარდა ამისა, ვ. ბასიშვილი თავგამოდებით იცავს ყველა იმ ქართველ სტუდენტს, რომლებიც რუსეთის და უცხოეთის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში არიან წასული განათლების მისაღებად. გაზეთში „ცნობის ფურცელი“[10] (ცნობის ფურცელი, 1903) ფსევდონიმით „სიტყვა“[11] გამოქვეყნებულ მასალაში ავტორი საყვედურობს უცხოეთში

---

[8] გადასახადი დადგენილი იყო 1818 წლიდან საქართველოს ეგზარქოსის თეოფილაქტეს დროს. **მიტროპოლიტი თეოფილაქტე** (ერისკაცობაში - ფიოდორ გაბრიელის ძე რუსანოვი) საქართველოს ეგზარქოსი 1817-1821 წლებში. იყო ცარიზმის კოლონიური - რუსიფიკატორული პოლიტიკის აქტიური გამტარებელი საქართველოში. 1817 თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში შემოიღო კვირაში სამი დღე რუსულად წირვა-ლოცვა. შეამცირა ეპარქიათა და სამრევლო ეკლესიების რაოდენობა, ქართული სამღვდელოების რუსულად აღზრდის მიზნით დააარსა სასულიერო სასწავლებლები: თბილისში, თელავში, გორში, სიღნაღში.

[9] **მიტროპოლიტი ფლავიანე** (ერისკაცობაში - *ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე გოროდეცკი*) - რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელთმთავარი. საქართველოს ეგზარქოსი 1898-1901 წლებში. 1885 წლიდან ლიუბლინის ეპისკოპოსი, ვარშავის მთავარეპისკოპოსი. 1901 წლიდან ხარკოვის მთავარეპისკოპოსი.

[10] **გაზეთი "ცნობის ფურცელი"** - გამოდიოდა 1896-1906 წლებში. რედაქტორ-გამომცემლები იყვნენ: ვალერიან გუნია (1896-1899); ალ. ჭყონია (1899 10/XII - 1900 4/XI); ალ. ჯაბადარი (1901-1906). 1904 წლიდან გაზეთი გახდა საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ორგანო.

[11] ფსევდონიმით **„სიტყვა“** მოღვაწეობდა **სამსონ ფირცხალავა.** სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო 1893 წლიდან. 1901-1902 წლებში მუშაობდა გაზეთ „ივერიაში“. ამავე დროიდან ეწევა აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას. იყო საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი (1901) და ლიდერი. შემდეგ მემარჯვენე ფედერალისტი გახდა. იყო გაზეთ „გლეხის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და ფაქტობრივი რედაქტორი (1906). ხელმძღვანელობდა გაზეთ „სახალხო საქმეს“ (1917-1921). 1917-1919 წლებში სამსონ ფირცხალავა იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს, ხოლო 1919-1921 წლებში საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. 1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს. ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია–ანექსიის

მყოფ ქართველ სტუდენტებს, რომ მათში ორი და სამი არ მოიპოვება მშრომელი, სერიოზული ადამიანი. გაწეული ხარჯის მიუხედავად, ჩავიდნენ უცხოეთში და მეცადინეობის ნაცვლად დროს უქმად ყოფნაში ატარებენ.

„მე მსურს ორიოდე სიტყვით ჩემი შეხედულება გამოვთქვა საერთოდ რუსეთის სტუდენტობაზე და კერძოდ ქართველებზე, რადგან ზემოთ მოყვანილი სიტყვები, ცოტა არ იყოს, გადამეტებულად მიმაჩნია.

რა მომზადებით და რა მიზნით მიდის დღეს რუსეთის საშუალო სასწავლებელში სწავლა-დამთავრებული ახალგაზრდა უმაღლესს სასწავლებელში? რვა წლიდან დაწყებული დაახლოვებით ოც წლამდე ჩვენ ახალგაზრდას, მოგეცათ ღვთის წყალობა, ბლომად აყლაპებენ სხვა და სხვა ყოვლად გამოუსადეგარ აბებს, რომლებსაც რიხიანად „მეცნიერულ საგნებს“ ეძახიან. ეს არის მთელი მისი მომზადება ცხოვრებისათვის! ახლა მიბრძანეთ, რა მომზადება უნდა მოსთხოვო ცხოვრებაში მას, რომლის გონებრივი განვითარება დამოკიდებულია მხოლოდ საგნების ზეპირობაზე...

ადვილი წარმოსადგენია, რომ ასეთ პირობებში აღზრდილი ახალგაზრდა გულის ძგერით მოელის იმ დროს, როდესაც თავს დააღწევს სასწავლებელს და ცხოვრებაში გამოვა, ან უმაღლეს სასწავლებელში შესვლას ეღირსება. რა ტკბილი იმედებით მიილტვის იქით! აი ეღირსა კიდეც, შევიდა უმაღლესს სასწავლებელში და... დაიბნა. ის ჩავარდა სრულიად უცნობ ატმოსფეროში და ვეღარ გამორკვეულა, გზა ვეღარ გაუგნია. ის თავისუფლად გრძნობს თავს, მაგრამ არ იცის როგორ ისარგებლოს ამ თავისუფლებით. მისთვის ეს თავისუფლებაც და ეს ცხოვრებაც სრულიად უცნობია და... დაეწაფება მთელის თავის სიცოცხლით სავსე ბუნებით ცხოვრებას. ის ცდილობს, რაც შეიძლება მეტი სიამოვნება გამოჰგლიჯოს ცხოვრებას. როგორც საპყრობილიდან ახლად გამოშვებული კაცი ვერა ძღება სუფთა ჰაერით და ბუნების ცქერით, ისე ეს ახალგაზრდა ვერა ძღება თავისუფლებით, სცდილობს ყოველგვარ გართობას, ქეიფს, რადგანაც ეს მისთვის ახალია და მეტად გემრიელად ეჩვენება. ცხოვრებისთვის მოუმზადებელს ახალი ტალღა იტაცებს და მიაქანებს, საითაც უნდა, როგორც სუბუქ ნივთს.“[12] (ბასიშვილი, 1903ა: 2)

მიუხედავად თქმულისა ვასილ ბასიშვილი ხაზგასმით მიუთითებს, რომ ყოველივე ეს დროებითი მოვლენაა. დაუკვირვებლობით და აჩქარებით შეიძლება ქართველ სტუდენტობაზე შეიქმნას მცდარი წარმოდგენა. ადრე თუ გვიან უმრავლესობა გრძნობს საშიშ გზაზე შედგომას, გონს მოდის, შრომის გზას ადგება, ერთიანდება სხვადასხვა წრეებსა და საზოგადოებებში, ინტენსიურად ეწაფება განათლებას და საკუთარ ცოცხალ ბუნებას და ძლიერ ენერგიას სულ სხვა მიმართულებით მიმართავს.

ავტორის აზრით, სტუდენტი იდეალური არსება არ არის. იგი შემკულია იმ უამრავი ღირსებებით და ნაკლოვანებებით, როგორც სხვა ყველა. ამიტომ „ცნობის ფურცელზე“ მათ შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს მეტად გადაჭარბებულად მიიჩნევს.

ვ. ბასიშვილი სიტყვით რომ ვთქვათ, სტუდენტი შესაძლებლობის ფარგლებში იწყებს მეცადინეობას, მხოლოდ მისი ახალგაზრდა ბუნება ხანდახან კიდევ იწევს გართობისკენ და ისიც უარს არ ეუბნება საკუთარ მოთხოვნილებებს. მათი ამაში დადანაშაულება არავის შეუძლია, რადგან ის ადამიანია და ადამიანს კი მრავალგვარი მოთხოვნილება აქვს. „რამდენადაც იგი განათლებულია, იმდენი მოთხოვნილებაც მეტი აქვს. რათ უნდა გვყავდეს ჩვენ სტუდენტი წარმოდგენელი რაღაც იდეალურ, არა ქვეყნიურ არსებად? განა კაცი სტუდენტობაში ადამიანის მოთხოვნილებებს ჰკარგავს და ჰაეროვან არსებად ხდება?

შემდეგ, 1922-1946 წლებში პოლიტიკური ემიგრანტია. ცხოვრობდა საფრანგეთში. 1948 წელს სამსონ ფირცხალავა დაბრუნდა სამშობლოში. 1951 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს შუა აზიაში, სადაც გარდაიცვალა 1952 წელს.

[12] მასალა დაბეჭდილია ფსევდონიმით „ბასილ“.

თუ ეს ასე არ არის, მაშასადამე, მას შრომის მოთხოვნილების გარდა, დასვენების მოთ-ხოვნილებაც აქვს, ხალხში გარევისაც და სხვა“.[13] (ბასიშვილი, 1903ა: 2)

საგანმანათლებლო საკითხების გვერდით, ვ. ბასიშვილის მახვილ თვალს მხედველობიდან არ რჩება სხვა ყოფითი პრობლემებიც ყოველდღიური ცხოვრებიდან. მხედველობაში გვაქვს 1900 წლის გაზაფხულზე, მარტში დაწერილი „წერილი გორიდგან“. გაზაფხული თუ ერთის მხრივ აღიქმება გამოღვიძების, სიცოცხლის, სიმწვანის, სურნელისა და ბუნების ფოთლითა და ყვავილებით შემოსვის პერიოდად, მეორეს მხრივ აქტიურდება გარკვეული პრობლემებიც, რომელთა მოგვარებაც გადაუდებელ აუცილებლობას წარ-მოადგენს.

ამ შემთხვევაში ახალგაზრდა მწერალი გულისხმობს გორს. მისი აზრით, მხოლოდ გორი ვერ გრძნობს გაზაფხულის მოახლოებით გამოწვეულ სილამაზეს და აღტაცებას. „მხოლოდ გორი არ ექვემდებარება ბუნების ამ მოვლენას. ყოველ გაზაფხულის მოახლოებაზედ მას უსიამოვნოდ უცემს გული და როდესაც თვით გაზაფხული მობრძანდება, მაშინ ხომ ეს უსიამოვნო გულის ცემა შიშად იქცევა, ბევრჯელ-კი ტირილად და ვაი-ვაგლახადაც... და სატირელიცა აქვს. ქ. გორმა მშვენივრად იცის, რომ გაზაფხულზედ მტკვარსა და ლიახვსაც (რომელთ ჩასართავში გაშენებულია ქ. გორი) სხვასავით სიამოვნებით აუთამაშდებათ გული, ისინიც გაიღვიძებენ, ეცდებიან ბუნების მეჯლისში ჩარევას; ჰსურთ იმათაც რომ გაზაფხულზედ თავი გამოიჩინონ, გააკვირვონ ქვეყანა თავისის სიდიადით. ამისთვის ადიდდებიან და რაც გზაზედ რამე დახვდებათ, თან მოაქვთ... ვაი გორის ბრალი!! თუ ამ ორმა აზვავებულმა მდინარემ გზაზედ წასალეკი ვერა ჰნახა-რა, გორმა უნდა გარდაიხადოს, მოადგებიან გორსა და ხარჯსა სთხოვენ: თუ ჩვენს ნაპირებზედ დარჩენა გსურს, ეუბნებიან გორს მტკვარი და ლიახვი, უნდა ხარკი მოგვცეო. გორი უარს ეუბნება, რაც გინდა მიყავით, მე მაინც სანაპიროებს არ გავიმაგრებ და სულს არ შევიხუთავო და ... მდინარეებსაც მიაქვთ ყველაფერი: მამული, ხე, სახლი და თუ ძლიერ გაჭირდა, ხიდიც, ის ხიდი, რომელიც აერთებს გორს რკინის გზასთან და ამით მთელს ქვეყანასთანაც... მერე გორელები რას აკეთებენ?!.“[14] (ბასიშვილი, 1900დ: 3)

საგაზეთო მასალაში მძაფრადაა დახატული აღნიშნული პრობლემა, ნაჩვენებია მისი მძიმე შედეგებით გამოწვეული ზარალი და გორელთა უმოქმედობა. ავტორი ირონიულად მოიხსენიებს ამ პასიურობას, ირონიით მიუთითებს წინაპრების ბრალეულობისკენ, რომ თავის დროზე არა სწორად შეარჩიეს ადგილი ქალაქის გასაშენებლად, საყვედურობს თანამედროვე მეცნიერებას, რომელსაც ჯერ არ შეუძლია ქალაქის ერთი ადგილიდან მეორეზე გადადგმა.

„ძლიერ ცუდს მდგომარეობაშია ნამეტნავად სასულიერო სასწავლებელი.[15] წყალი მეტად ახლო მოვიდა და ლამის 50 000 მანეთად დამჯდარი შენობა ძირს დასცეს. გორელები

---

[13] მასალა დაბეჭდილია ფსევდონიმით „ბასილ“.

[14] მასალა დაბეჭდილია ფსევდონიმით „ბასილ“.

[15] **გორის სასულიერო სასწავლებელი** - მოსწავლეთა მიღება 1817 წლის ოქტომბერში დაიწყო, ოფიციალური გახსნის ცერემონიალი კი საზეიმოდ აღინიშნა 1818 წლის 16 მაისს. დაესწრო იმ დრო-ინდელი გორის მაზრის თავადაზნაურობა და სამღვდელოება. პარაკლისის გადახდის შემდეგ, სიტყვა წარმოთქვა სასწავლებლის ზედამხედველმა ნეშუმოვმა. სასწავლებლის მატერიალური უზრუნველყოფა, მიტროპოლიტ თეოფილაქტეს განკარგულებით, რუისის არქიმანდრიტ ნიკიფორეს დაევალა, ხოლო სასწავლო პროგრამებით, სახელმძღვანელოებითა და ინსტრუქციებით იგი თბილისის სასულიერო სემინარიამ მოამარაგა. ისწავლებოდა რუსული და ძველი სლავური გრამატიკა, არითმეტიკა, საეკლესიო გალობა, კატეხიზისი, ბერძნული და ლათინური ენები (პირველდაწყებითი კუსი), საღვთო სჯული და სხვა. სხვადასხვა დროს აქ სწავლობდნენ ი. გოგებაშვილი, ი. სტალინი, ლ. კეცხოველი, ს. მგალობლიშვილი (შემდგომ აქვე ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას), ნ. ლომოური და სხვები. დაიხურა 1917 წელს.

მაინც უცქერიან და უცქერიან განრისხებულს მდინარეებს და ღმერთს ევედრებიან...“[16] (ბასიშვილი, 1900დ: 3)

დასკვნა. ამრიგად, ვ. ბასიშვილის საინტერესო მხატვრული ტექსტები იბეჭდებოდა იმდროინდელ ცენტრალურ პერიოდულ პრესაში. მაგალითად, „მოხუცი ზაქარა“[17] (ბასიშვილი, 1900ა: 1-2; ბასიშვილი, 1900ბ: 1-2) გაგრძელებით გამოქვეყნდა გაზ. „ივერიაში“, ხოლო „დამნაშავეს“[18] (ბასიშვილი, 1903ბ: 1-4) უმასპინძლა და „ცნობის ფურცლის“ სურათეზიანმა დამატებამ.[19]

როგორც უკვე ვამბობდით, ვასილ ბასიშვილმა ძალზე ხანმოკლე ვადით გაიბრწყინა სამოღვაწეო ასპარეზზე. გარდაცვალებისას ის ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა, უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი გახლდათ. მისი სახით ცხინვალის რეგიონის კულტურულ პოტენციალს გამოაკლდა უაღრესად გონიერი, თვითმყოფადი ნიჭიერების მქონე მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე.

მისი გარდაცვალებით აღშფოთებული ს. ბერძნიშვილი წერდა: „მშვიდობით, საუკუნოდ დაუვიწყარო! საუკუნოდ იყოს ხსენება შენი და იქნება კიდეც, იმიტომ, რომ სხვებს არ ჰგავდი; იმიტომ, რომ მედგრად ეტანებოდი სწავლას; იმიტომ, რომ ნიჭი გქონდა და გწყუროდა მისი განვითარება შენი ქვეყნის სასარგებლოდ; იმიტომ, რომ გული გქონდა და მხურვალედ გიყვარდა შენი სამშობლო“ (ბერძნიშვილი, 1903: 2).

გამოყენებული ლიტერატურა:

ბერძნიშვილი, ს. (1903). ვასილ ბასიშვილი. *ივერია.* #197.
ბასიშვილი, ვ. (1900)ა. მოხუცი ზაქარა. *ივერია.* #173.
ბასიშვილი, ვ. (1900)ბ. მოხუცი ზაქარა. *ივერია.* #174.
ბასიშვილი, ვ. (1900)გ. ორიოდე სიტყვა ჩვენი სამღვდელოების ერთ საჭირბოროტო საგნის გამო. *ივერია.* #64.
ბასიშვილი, ვ. (1900)დ. წერილი გორიდან. *ივერია.* #69.
ბასიშვილი, ვ. (1903)ა. ფელეტონი. *ცნობის ფურცელი.* #2089.
ბასიშვილი, ვ. (1903)ბ. დამნაშავე. *ცნობის ფურცელი.* #2110 (105).
თაბუაშვილი, ა. (2019). *ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში.* თბილისი.
ივერია. (1900). #64.
ივერია. (1903). #197.
ცნობის ფურცელი. (1903). #2064.

REFERENCES:

berdznishvili, s. (1903). vasil basishvili [Vasil Basishvili]. *iveria [Iveria].* #197.
basishvili, v. (1900)a. mokhutsi zakara [The Old Zakara]. *iveria [Iveria].* #173.
basishvili, v. (1900)b. mokhutsi zakara [The Old Zakara]. *iveria [Iveria].* #174.
basishvili, v. (1900)g. oriode sit'qva chveni samghvdeloebis ert sach'irborot'o sagnis gamo [A Couple of Words Regarding an Important Subject of Our Priesthood] . *iveria [Iveria].* #64.

[16] მასალა დაბეჭდილია ფსევდონიმით „ბასილ“.
[17] მასალები გამოქვეყნებულია ფსევდონიმით „ბასილ“.
[18] მასალა დაბეჭდილია ფსევდონიმით „ბასილ“.
[19] გაზეთ **"ცნობის ფურცელის სურათებიანი დამატება"** გამოდის 1901 წლიდან 1906 წლის ჩათვლით. ყოველდღიური გაზეთის "ცნობის ფურცლის" ყოველკვირეული დამატება. თავდაპირველად რედაქტორი იყო ალ. ჭყონია, გამომცემელი – ალ. ჯაბადარი. 1901 წლის N18-დან რედაქტორ-გამომცემელი გახდა ალ. გ. ჯაბადარი.

basishvili, v. (1900)d. ts'erili goridan [A Letter from Gori]. *iveria [Iveria]*. #69.
basishvili, v. (1903)a. pelet'oni [Peletoni]. *tsnobis purtseli [Tsnobis Purceli]*. #2089.
basishvili, v. (1903)b. damnashave [The Culprit]. *tsnobis purtseli [Tsnobis Purceli]*. #2110 (105).
tabuashvili, a. (2019). *pasebi peodaluri ep'okis sakartveloshi [Prices During the Feudal Era in Georgia]*. Tbilisi.
iveria [Iveria]. (1900). #64.
iveria [Iveria]. (1903). #197.
tsnobis purtseli [Tsnobis Purceli]. (1903). #2064.